ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7376600

ნომერი: AR11076460

თარიღი : 06.02.2025

გაცემის თარიღი : 12.02.2025

გაცნობის თარიღი : 13.02.2025

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, დავარის ქუჩა, N 54;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კონსტანტინე ურუშაძე პ/ნ 01008050556
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. VI კვ. კორ. 12 ბ. 18

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2025 წლის 06 თებერვლის №AR11076460 განცხადებით მომართა კონსტანტინე ურუშაძემ და მოითხოვა სამსახურის 2025 წლის 04 თებერვლის №7367141 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად,

შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2025 წლის 04 თებერვლის №7367141 ბრძანებით №01.72.14.037.318 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2025 წლის 04 თებერვლიდან 2027 წლის 04 თებერვლის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.

განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2025 წლის 04 თებერვლის №7367141 ბრძანებით შეთანხმებულ არქიტექტურულ და კონსტრუქციულ პროექტში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა და პროექტის +0.00 ნიშნულზე არასწორად იქნა მითითებული აბსოლუტური ნიშნული. შესაბამისად, ითხოვს +0.00 ნიშნული განისაზღვროს აბსოლუტურ +464.514 ნიშნულზე.

დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა არ წარმოადგენს ტექნიკურ შეცდომას, ვინაიდან, აბსოლუტური ნიშნულის ცვლილება, საჭიროებს სამსახურის 2025 წლის 04 თებერვლის №7367141 ბრძანებით შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციაში ცვლილებას და შესაბამისი მშენებლობის ნებართვის მიღებას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.

წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.